საქ. ეკლესიის ცენტრ. აღმასკომ. ტფილ.-ფეიდ. რაიონ. პარტია

ტრიბუნა

მთავარ კომიტეტის ორგანო

გაზეთი „ტრიბუნა“ ღირს
თვიურად 1,000,000 მან.
ცალკე ნომერი უველგან 40,000 მან.
რედაქცია და კანტორა: ტფილისი, სახახლის ქუჩა, № 6
ტელეფონი 10—34 — ფოსტის ყუთი, № 190.

განცხადების ფასი
1 გვ. 200,000 მან. ნახევარ
4 „ 150,000 „ „
სამგლოვიარო განცხადება
1 გვ. 2,500,000 მან.
4 „ 2,000,000 „

№ 504 კვირა, ივნისის 24 1923 წ. უოველდღიური გაზეთი ფასი 40,000

სტუდენტები: **შალვა ლეჟავა, გიო გამყრელიძე, სერგო ამაღლობელი, დათიკო ვეკუა, ვლადიმერ ჭორჩილავა** და **გრიშა ხოფერია** ამით აუწყებენ ამხანაგებს, რომ ივნისის 20-ს ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა ტფილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტი

აპალონ ხვითარია

დაკრძალვა მოხდება ს. ჯოლოში (სენაკის მაზრა), ივნისის 26—ს. 1—1

გულდათუთქული **ვანო ბუთლიაშვილი** ამით აუწყებს ამხანაგ-მეგობართ, რომ ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა ძვირფასი და დაუვიწყარი ამხანაგი

ალექსი ილიას ძე ზარდიაშვილი.

მიცვალებულის გამოსვენება დანიშნულია დღეს, 24 ივნისს, დილის 10 საათზე ბინიდან (პლეხანოვის ქუჩა, სახლი № 114). დაიკრძალება ვერის წმ. ნიკოლოზის ეკლესიის სასაფლაოზედ.

1—1

სამშაბათს, ივნისის 26-ს

ა. ფალავას სტუდიის სარკის დარბაზში

(რუსთაველის თეატრის შენობაში)

კონსტანტინე გამსახურდია

წარმოსთქვამს სიტყვას:

თეატრი და ექსპრესიონიზმი

I თეატრი აღმოსავლეთში, ბერძნული ტრაღედია. ტრაღედიის გადაგვარება. დასავლეთის თეატრი. შექსპირი. კრიზისი. ვენის, ბერლინის, რაინჰარტის თეატრები. ნების ყოფა ტრაღედიის განახლებისადმი. ნებისყოფა მისტერიისადმი. აღსდგება თუ არა ბერძნული ტრაღედია? ვილამოვიცის პოზიცია. ფონი ბერძნული კულტურის, ანტიკა და დასავლეთი—არა ჰომოლოგიური ფენომენები. თეატრი, სანახაობა და თეატრი სულის ტრიბუნა. თეატრი და ექსპრესიონიზმი.

II ქართული თეატრის გუშინ და ხვალე. მარჯანიშვილი და აღორძინების ნიშნები. ქართული კულტურის ტრაღიკული ნასკვი. ჰიბრიდული სული ქართული კულტურის. ქართული სულის რენესანსის პაროლი.

დისპუტში მონაწილეობას მიიღებენ: **კ. მარჯანიშვილი, გრ. რობაქიძე, ი. ტატიშვილი, ა. ფალავა.**

მოხსენება დაიწყება საღამოს სრულ 9 საათზე.

შესავალი ბილეთები იქვე გაიყიდება.

2—2

ლოზანას გოდოლი

ქ. ლოზანაში თავმოყრილი დიპლომატები განაგრძობენ წარსულ კონფერენციების წინაშე წამოყენებულ ისტორიულ ამოცანების გადაწყვეტის მიმართულებით მუშაობას.

როგორც ვიცით, კაპიტალისტური ბურჟუაზიის გონებრივი აპარატის საქმიანობა ერთ მთავარ ღერძის გარშემო ტრიალებს: ევროპის დანგრეულ ეკონომიკის აღორძინება კაპიტალისტურად შედარებით ჩამორჩენილ ქვეყნების ბურჟუაზიულ წარმოების ბადეში ჩათრევით. ვაშინგტონში იქმნა ამ „ახალი ამერიკის“ აღმოჩენის შესახებ საკითხი წამოყენებული. პოლიტიკურ ცხორების ვითარებაში იმ ჟამად მკაცრად ჩამოყალიბებული იყო მოწინააღმდეგე ძალთა დაპირისპირება. ორი მსოფლიო—საბჭოთა ქვეყნები და ანტანტის სახელმწიფოები ლეგალი ბრძოლის და პრაქტიკ პოლიტიკის წარმოების ნიადაგზე იდგა.

მაგრამ თვით ვაშიგტონის კონფერენციის „მუშაობის“ მსვლელობაში გამოირკვა ის აზრი, რომ ევროპის სამეურნეო ცხოვრების მოწესრიგება შეუძლებელია, თუ კი ამ საქმეში მონაწილეობა არ მიიღო რუსეთმაც. გენუის კონფერენციის დედა-აზრი ამ აზრის რეალიზაციას ემსახურებოდა. ბურჟუაზია დაადგა კაპიტულიაციის გზას... კონფერენციაზე მოწვეულ იქმნა საბჭოთა რესპუბლიკების წარმომადგენლებიც.

გენუის კონფერენციამ ვერ შესძლო მნიშვნელოვანი შედეგების მიცემა მის მესვეურებისათვის. მართალია, საბჭოთა რუსეთი ჩაიყოლიეს საერთო ფერხულში, მაგრამ მაინც საოცნებო საგანი შეიქნა ევროპის პოლიტიკური ცხოვრების მესაჭეობისათვის წინასწარ განსაზღვრულ გეგმის განხორციელება სინამდვილეში. თავი იჩინა ბურჟუაზიულ სახელმწიფოების წარმომადგენელთა რიგებში აშკარა წინააღმდეგობაში ერთმანეთთან შეურიგებელი შეიქნა საფრანგეთ-გერმანიის და ინგლის-იტალიის თვალთახედვის ისრები. რუსეთის ბუნებრივ სიმდიდრის ხელში ჩასაგდებად დასავლეთ ევროპის კაპიტალისტებმა ერთდროულად დააფათურეს თათები. ანტანტის ცხოვრებაში წამოიჭრა პოლიტიკური კრიზისი. საბჭოთა რუსეთმა სრული გამარჯვება იწვნია გენუის კონფერენციაზე. მან არც ერთი საგულისხმო მუხლი არ დაუთმო ანტანტის იმპერიალიზმის მოციქულებს. საბოლოოდ გამოირკვა ევროპის კაპიტალის მაგნატებისათვის ის გარემოება, რომ საბჭოთა ქვეყანა არ წარმოადგენს პოლიტიკურ ბუტაფორიას, ილიუზიას. ახლა ანტანტის დიპლომატიურ გენიამ ყურადღების ცენტრი ოსმალეთის საკითხს მიაპყრო.

როგორც ვიცით, ამ ჟამად რუსეთ-ოსმალეთს შორის მეტად მეგობრული განწყობილებაა გამეფებული. ქემალის ქვეყანა პოლიტიკურ კონტაქტშია საბჭოთა რესპუბლიკებთან. ანტანტის იმპერიალიზმის სუსხმა ერთ ბანაკში მოაქცია სხვა და სხვა სოციალ-პოლიტიკური წესების მატარებელი სახელმწიფოები. ამ „გაერთიანების“ რევოლიუციონური მნიშვნელობა არ წარმოადგენს დაფარულ სინამდვილეს კაპიტალისტურ მსოფლიოს პიონერებისათვის. ოსმალეთის ანტანტის ორიენტაციაში ჩათრევას, უეჭველია, უდიდესი, გადამჭრელი მნიშვნელობა აქვს ევროპის ბურჟუაზიისათვის.

ანტანტის, განსაკუთრებით—საფრანგეთის ინტერესებისათვის ოსმალეთის საკითხის მოწესრიგებას აქვს ორგვარი მნიშვნელობა. ერთი ის, რომ ოსმალეთი, როგორც ეკონომიურად დაუწინაურებელი ქვეყანა, კაპიტალისტურ „კულტურას“ მოკლებული მხარე, წარმოადგენს ხელსაყრელ სათარეშო ასპარეზს ევროპის კაპიტალისათვის. ანტანტის სახელმწიფოები დღეს ბაზრების ძიებაშია. საახალშენო პოლიტიკა მათ ხელში მკაცრადაა მომარჯვებული. კოლონიალი თვალსაზრისი მთელი თავისი სიღრმე-სიგანით ახლო აღმოსავლეთის პრობლემის ახსნისაკენაა მიმართული. მაშასადამე, წმინდა ეკონომ. მოსაზრება უკარნახებს ანტან. იმპერიალისტებს ოსმალეთის ევროპის პოლიტ. წრეში მოქცევას. ოსმალეთის მეორე მნიშვნელობა ამოიწურება იმით, რომ საბჭოთა რესპუბლიკების კავშირი ოსმალეთთან დაპირისპირებით დაკარგავს რეალ დამხმარე ძალას საერთაშორისო კაპიტალთან ბრძოლაში. ინგლისის ბურჟუაზიის ინტერესები დაჟინებით მოითხოვს ოსმალეთ-რუსეთს შორის არსებულ კონტაქტის დარღვევას.

ლოზანის კონფერენციის ძირითადი აზრი სწორედ ამაში გამოიხატება. ევროპის ბურჟუაზიული დიპლომატია სცდილობს სხვა და სხვა ფანდებით შემოვლას ოსმალეთის საკითხის ირგვლივ, ქემალის თანაგრძნობის დამსახურებას. მიაღწევენ ამას ლოლაზანის მეთაურები? საეჭვოა არსებული ფაქტები და ლოზანის მუშაობის მიცემული შედეგები ადასტურებს იმ დებულებას, რომ შეუძლებელია ბურჟუაზიამ ინტერესები გაინაღდოს მანამ, სანამ თვით კაპიტალისტების ინტერესები არ მოექცევა ერთ ჩარჩოში, არ მოხდება ბურჟუაზიულ სახელმწიფოების შეხმატკბილება. ეს კი შეუძლებელი საქმეა. ოსმალეთის საკითხში სრულიად განსხვავებული თვალსაზრისია შემუშავებული სხვა და სხვა კაპიტალისტურ ქვეყნებში. უპირველესად ყოვლის ახლო აღმოსავლეთის პრობლემა უპირისპირებს ერთმანეთს ორ დიდ ტანიან სახელმწიფოს—ინგლისსა და საფრანგეთს.

უეჭველია, ლოზანა № 2 ჩვეულებრივი მარცხით დასრულდება. ანტანტის იმპერიალიზმი ვერ განახორციელებს კოლონიალ თვალსაზრისს ოსმალეთის მიმართ. ამას მოწმობს ის გაბედული ტონით დაწერილი დეკლარაცია, რომელიც გამოაქვეყნა ოსმალეთის მთავრობამ.

ჩვენი მრეწველობის მდგომარეობა

(შენიშვნა)

სრულიად საქ. ცენტრალურ აღმასკომის მეოთხე სესიამ მოისმინა და განიხილა მოხსენება ჩვენი მრეწველობის შესახებ. ამ მოხსენებიდან მტკიცდება, რომ ჩვენი მეურნეობა საკმაოდ მოზრდილ კრიზის განიცდის. ეს კრიზისი ორ მომენტში გამოიხატება: 1) პროდუქცია მეურნეობისა განსაკუთრებით ზოგიერთ დარგებში ვერ არის დამაკმაყოფილებელი, მეორეს მხრით, დამუშავებული პროდუქცია ვერ იძლევა მოგებას ბაზარზე გაყიდვის შემდეგ; წინააღმდეგ, ის მრავალ დარგში ზარალობს. მაგ. თამბაქოს მრეწველობა ამ მხრივ არავითარ სარგებელს არ აძლევს ტრესტს; ნედლი თუთუნი უფრო მეტი უჯდება წარმოებას, ვინემ თვითონ ყიდის ყოველის მხრით გამზადებულს. ნედლი თამბაქოს დამუშავებაზე ტრესტს დიდძალი თანხა ეხარჯება, მიუხედავად ამისა ის იძულებულია გამზადებული თუთუნი ნაკლებ ფასში გაყიდოს, ვინემ შეიძინა ამისათვის საჭირო ნედლი მასალა. ეს არის ერთი დამახასიათებელი ანორმალური მდგომარეობა ჩვენ. მეურნეობის საქმისა ცხადია, ასეთს პირობებში მეურნეობის განვითარებისათვის მეტად შემაფერხებელი მიზეზები იქმნება. თუ მეურნეობამ თავისი ხარჯი არ გამოიყიდა და არ დააგროვა ზედმეტი მოგება, შეუძლებელია მეურნეობის აღორძინება ფართო მაშტაბით. საიდან უნდა დაფაროს მეურნეობამ თავისი დეფიციტი? ამ მხრით მას ერთად ერთი საშუალება აქვს:

დახმარება სახელმწიფოსაგან; ამ რიგად ჩვენი მრეწველობა სახელმწიფოს ისედაც ღარიბი კასიდან საზრდობს და ზედმეტ ბარგად აწვება მას. ეს კი, თავის მხრით, სცემს ჩვენ ფინანსების საქმეს.

ეს არის ძირითადი ანომალია, რომელშიაც იმყოფება ჩვენი მეურნეობა და რომელიც საერთოდ ჰქმნის კრიზისს ჩვენს ცხოვრებაში.

რა არის ამის მთავარი მიზეზი? სად უნდა ვეძიოთ ჩვენი მეურნეობის ასეთი კრიზიის მთავარი საფუძვლები.

ამის ერთი მიზეზი აუცილებლად მარხია იმ ობიექტურ პირობებში, რომელიც საერთოდ შექმნილია ყოველგვარ მეურნეობისათვის. ეკონომიური ვაკხანალია, დარღვეული მეურნეობა, საერთაშორისო ურთიერთობა და მრავალი სხვა ხელს უშლის მრეწველობის განვითარებას. ეს ფაქტია. მაგრამ მეორეს მხრით, ამის მიზეზი ჩვენი სამეურნეო **პოლიტიკაშიც** უნდა ვეძიოთ. თითქოს არის შემუშავებული მთლიანი სამეურნეო გეგმა, გვაქვს გარკვეული ეკონომიური პოლიტიკა, მაგრამ ყოველივე ეს ქაღალდზე რჩება. რეალურ სინამდვილეში გეგმაშეწონილმა არ სუფევს და აუცილებლად დიდ არეულობასთან გვაქვს საქმე. ეს განსაკუთრებით სჩანს იმაში, რომ სამეურნეო საბჭოს ხელმძღვანელთ ვერ მოუხერხებიათ მაზრის ფასებასა და მისი ვითარების შესაფერისად გამოყენება და ძლიერ ხშირად მათი ოპერაციები დიდი ზარალით თავდება, წარმოებისა და ბაზარს შორის ვერ მყარდება სასარგებლო პროპორცია და ხელმძღვანელების უთაურობის გამო ბაზარი ყოველფეხის ნაბიჯზე ამარცხებს მას. ამაში აუცილებლად დიდი დანაშაული მიუძღვით ამ პირებს, რომელთაც მეურნეობას მოქცევიან სათავეში, მაგრამ მისი შესაფერისად მოწესრიგება არ ძალუძთ.

ჩვენი მეურნეობის ინტერესები აუცილებლად შეფარდებული უნდა იქმნეს ჩვენი ერის ინტერესებთან და მის საჭიროებასთან. ამ მხრივაც ჩვენ საქმე გვაქვს ინტერესთან წინააღმდეგობასთან, რომელიც ხელს უშლის მრეწველობის განვითარების საქმეს. პოლოგვა ჩვენი მეურნეობის საკითხი არ არის შეფარდებული ჩვენს მოთხოვნილებებთან, იგი უმთავრესად ემორჩილება სხვა ორგანიზაციების გეგმებსა და ინტერესებს, ამიტომ მრეწველობას გზაში შემაფერხებელი ზღუდეებიც ეღობება. ამ პირობების ერთი ხელით მოსპობა კი შეუძლებელი ხდება.

ცხადია, ჩვენს მეურნეობას უახლოეს დროში ვერ გამოვიყვანთ კრიზისიდან და ვერ შევქმნით მისთვის ნორმალურ პირობებს: ამიტომ დეფიციტი მეურნეობიდან ჩვენ უცილოდ გვექნება. საერთოდ აღებული ჩვენი მრეწველობა სარგებლიანობას ვერ მოგვცემს და მისი ხარჯები სახელმწიფოს კასამ უნდა დაფაროს.

ზოგიერთებს ასეთს პირობებში ებადებოდა აზრი საქ. სამრეწველო დარგების შემცირებისა, რომ ამით თავიდან მოიშოროს ზარალის მომცემი მრეწველობა. ასეთი პოლიტიკა პირდაპირ დამღუპველი იქნებოდა ჩვენთვის ყოველის მხრივ და სამუდამოდ დასცემდა მთელს ჩვენს ეკონომიკას. ჩვენ გვირჩევნია და ჩვენი ინტერესი მოითხოვს სახელმწიფომ დაფაროს მრეწველობის დეფიციტი ვინემ კერა წართმოებისა ჩაგვიქრეს. ასეთი პოლიტიკა შექმინის საშინელს უბედურებას ჩვენში და მთელს ჩვენს ცხოვრებას კოლონიალურ მდგომარეობამდე დაიყვანს. საკუთარ წყაროებიდან საჭირო პროდუქტებს მოკლებული ჩვენი ხალხი იძულებული შეიქმნა სხვას მისცეს ზედმეტი მოგება ვაჭრობის საშუალებით და ამ რიგად სხვისი ექსპლოატაციის ობიექტი გადაიქცეს.

ჩვენი ხალხის აღორძინების მთავარი პირობა ქვეყნის ეკონომიურ ცხოვრების აყვავებაში მარხია. ეკონომიკა არის მთავარი საფუძველი, რომელზედაც უნდა აშენდეს ჩვენი ქვეყნის სახელმწიფოებრივი შენობა. ამიტომ სათანადო ორგანოებმა უნდა მიაქციოს სამეურნეო ცხოვრების მოწესრიგების საქმეს უმთავრესი ყურადღება და ამ მიმართულებით არ უნდა იქნას დაზოგვილი შრომა ტ ენერგია. შეიძლება პირველ ხანებში ვიზარალოთ, „მარცხი“ ვიწვნიოთ. მაგრამ, უეჭველია, მიზანი მაინც იქნება მიღწეული და მომავალში გვექნება საკუთარი ეკონომიური ხერხემალი, რომელზედაც იქნება გაჭიმული ჩვენი ქვეყნის ეროვნულ-კულტურული წარმატების ძარღვები. არ უნდა ვერიდოთ ექსპერიმენტული გზებით სიარულს, თუ კი იგი გზა მიმართულია სოციალისტური ცხოვრების განხორციელებისაკენ, მშრომელი მასსის განთავისუფლებისაკენ კაპიტალისტურ ბურჟუაზიის ბრჭყალებისაგან...

მებრძოლი.

ნარკვევი.

რამდენი გადაუხადა გერმანიამ ანტანტას. სარეპარაციო კომისიამ გადასწყვიტა წელიწადში ორჯერ გამოაქვეყნოს თავისი ანგარიშები, განსაკუთრებით კი ცნობა თუ როგორ შემოაქვს გერმანიას სარეპარაციო გადასახადები. სარეპარაციო კომისიის მიერ ვერსალის ხელშეკრულების თანახმად, 1922 წლის 31 დეკემბრისათვის მიღებული თანხების საერთო ჯამის და ამ თანხების საერთო ჯამის და ამ თანხების მოკავშირე სახელმწიფოებს შორის განაწილების ცნობა მხოლოდ ახლახან გამოქვეყნდა უცხოეთის ჟურნალ გაზეთებში.

ამ დოკუმენტებიდან სჩანს, რომ გერმანიის მიერ წარსული წლის დამლევისათვის გადახდილი კონტრიბუციები უდრის საკმაოთ მოზრდილ ციფრს—8 მილიარდ მარკას ოქროთი, ანუ 10 მილიარდს ფრანკს ოქროთი. ეს თანხა შესდგა შემდეგი გადასახადებიდან (ნაანგარიშევია ოქროს მარკებში):

ფულით 1.878.515.000
ნატურით 3.495.006.000
სახელმწიფო ქონება (რომელიც დაეთმო ფრანგებს) 2.553.905.000
ხაზინების შემოსავალი 13.000.000

სულ 7.940.426.000

გერმანიის მიერ გადახდილი 7.940.426.000 ოქროს მარკიდან სარეპარაციო კოვისიამ მოკავშირე სახელმწიფოებს შორის გაანაწილა 5.184.257.000 მარკა ოქროთი, ეს თანხა განაწილდა შემდეგნაირად:

საფრანგეთს	1.790.803.000
ბელგიას	1.719.996.000
ინგლისს	1.150.524.000
იტალიას	242.794.000
სერბიას	150.685.000
იაპონიას	67.978.000
ჩეხო-სლოვაკიას	21.190.000
პოლონეთს	14.705.555
საბერძნეთს	11.023.000
რუმინეთს	10.144.000
პორტუგალიას	4.415.000
სულ	5.184.257.000

დარჩენილი გაუნაწილებელი—2.756.169.000 მარკა ოქროთი შესდგება სხვადასხვა ბონების ღირებულებიდან; ეს ქონება შემდეგია:

წყალქვეშა კაბელი—49.000.000 დათმობილი სახელმწიფო ქონება და გერმანიის სახალხო სესხის ნაწილი—2.085.393.000, საარის მაღაროების ღირებულება (შეფასებითი) 100 მილ.
2.085.393.000, საარის მაღაროების ღირებულება (შეფასებითი) 100 მილ.

გემების ღირებულების ნაწილი	391.519.000
სხვა და სხვა ქონება	92.681.000
თანხები კასაში და ასაღები ვალები	37.626.000

საფრანგეთის მიერ 1922 წლის დამლევისათვის

1.790.803.000 ოქროს მარკა შესდგება შემდეგის ნაწილებიდან:

ფულით	143.649.000
ნატურით	1.345.112.000
დათმობილი სახ. ქონება	302.042.000

საოკუპაციო ჯარების და საკონტროლო კომისიების შესანახათ ხარჯები 1922 წლის დამლევისათვის უდრიდა 2.448.166.000 მარკას ოქროთი და ნაწილდება შემდეგნაირათ:

საფრანგეთი	1.261.001.000
ინგლისი.	942.836.000
ბელგია	233.677.000
იტალია	10.383.000
იაპონია	269.000

ამ ციფრებს უნდა მიემატოს აგრეთვე ამერიკის ჯარების შესანახი ხარჯები, რომელის უდრის 1.072.193.000 მარკას ოქროთი. ასე, ამრიგად სამხედრო ოკუპაციის ხარჯები 1922 წლის დამლევისათვის შეადგენს სამნახევარ მილიარდ მარკაზე მეტს (3.510.359.000) მარკა ოქროთი.

სესხი, რომელიც მიეცა გერმანიას 1920 წლის ივლისში სპაში დადებულ ხელშეკრულების ძალით და საოკუპაციო ხარჯები, გერმანიამ პირველ რიგში უნდა გადაიხადოს.

ამ ორი კატეგორიის ვალი შეადგენდა 392.216.000 და 2.448.166.000 მარკას ოქროთი.

ამ ვალების გადახდის შემდეგ მოკავშირეებს რჩებათ გასანაწილებლად 2,343,875,000 მარკა ოქროთი.

კერძოთ კი საფრანგეთის მიერ მიღებული 1,790,803,000 მარკა ოქროთი შესდგება შემდეგი ნაწილებიდან: სპას შეთანხმების თანახმად გერმანიისათვის მიცემული სესხი 238,771 მილიონი; საოკუპაციო ჯარების შესანახი ხარჯები 1,261,001,000. სხვა თანხები 291,031,000.

„ინპრეკორ“

ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲐ-ᲓᲘᲞᲚᲝᲛᲐᲢᲘᲐ

ᲙᲝᲛᲘᲜᲢᲔᲠᲜᲘᲡ ᲐᲦᲛᲐᲡᲙᲝᲛᲘᲡ ᲞᲚᲔᲜᲣᲛᲘ

ამხ. ბუხარინის მოხსენება კომინტერნის პროგრამის შესახებ.

კომინტერნის აღმასკომის პლენუმის 21 ივნისის დილის სხდომაზე მოსმენილ იქმნა ამხ. **ბუხარინის** მოხსენება კომინტერნის პროგრამის შესახებ.

მომხსენებელის სიტყვით კომინტერნის და ცალკე სექციების პროგრამის საერთო ნაწილი მეოთხე კონგრესის დადგენილებების თანახმად უნდა შესდგებოდეს შემდეგი ნაწილებიდან: კაპიტალიზმის ანალიზი, იმპერიალიზმის განვითარების ანალიზი, პროგრამა-მაქსიმუმის ფორმულიროვკა, გარდამავალი მოთხოვნილებების ფორმულიროვკა და ნაწილობრივი მოთხოვნილებების დასაბუთება. „ჩვენ, —ამბობს ამხ. ბუხარინი,—გვაქვს პროგრამის სამი პროექტი: ჩემი, გერმანიის პარტიის და ვარგასი. ამ სამ პროექტს შორის დიდი თეორეტიული უთანხმოება არის. მეოთხე კონგრესის შემდეგ კომინტერნის და მისი სექციების ცხოვრებაში მოხდა მთელი რიგი ამბებისა, რომლებიც მოითხოვენ ცალკე მუხლების გამოყოფას. ასეთია: ნაციონალური საკითხი, მსოფლმხედველობის საკითხი.

პროგრამის საერთო ნაწილში საჭიროა მტკიცე ფორმულაროვკა გაუკეთოთ ჩვენს მარქსისტულ, მატერიალისტურ მსოფლმხედველობას და შევეხოთ ჩვენს დამოკიდებულებას სარწმუნოებისადმი. საჭიროა მიუდგეთ ეგრედ წოდებულ წითელი იმპერიალიზმის, პროლეტარული სახელმწიფოების ბურჟუაზიულ სახელმწიფოებთან კავშირის შესაძლებლობას, მუშათა კაპიტალიზმის და იმპერიალიზმის საკითხებს, რომლებიც მტკიცედ არიან ერთი მეორესთან დაკავშირებული. ჩვენი პროგრამა უნდა შეიცავდეს სახელმძღვანელო ხაზს როგორც თანამედროვე, ისე მომავალი პერიოდისათვის. ეს საკითხები გაშუქებული უნდა იქნან პროგრამის საერთო ნაწილში. პროლეტარულ სახელმწიფოების მხრივ სხვა ქვეყნების პროლეტარიატისათვის დახმარების გაწევის საკითხი მომავალში არ უნდა დარჩეს მხოლოდ თეორეტიული საკითხი.

ასევე სდგას პროლეტარულ სახელმწიფოების ბურჟუაზიულ სახელმწიფოებთან კავშირის საკითხიც. საბჭოთა რუსეთი, მაგალითად, მხარს უჭერდა ოსმალეთს ლოზანაში და არც ერთ კომუნისტურ პარტიას ჩვენთვის არ უთქვამს საყვედური.

ჩვენ იძულებული ვართ საგრძნობათ გავადიდოთ ჩვენი ჰორიზონტი. ამის მაგალითი შეიძლება დავინახოთ პროლეტარიატსა და გლეხობას შორის ურთიერთობის საკითხში. პირველად ჩვენ შეექმენით რჩეულთა პარტიები, შემდეგ ეს პარტიები გადავაქციეთ მასიურ პარტიებათ, ახლა გვსურს ჩვენს მხარეზე გადმოვიბიროთ სოციალ-დემოკრატიის მომხრეები. პროლეტარული სახელმწიფოს შექმნისთანავე ისმება კითხვა იმის შესახებ, უნდა იყოს თუ არა ის ყველა დაჩაგრულთა ცენტრი.

გადავდივარ მუშური იმპერიალიზმის საკითხზე. იმპერიალიზმის ამოცანაა—შეიქმნას ისეთი პირობები, როცა მთელი მსოფლიო დაემორჩილება ფინანსიურ კაპიტალისტური ოლიგარხიის ბატონობას. ცნება—„მუშური იმპერიალიზმი“, როგორც სჩანს, ეწინააღმდეგება ამას. ეს თერმინოლოგია დიდ არევ-დარევას შეიტანდა მუშათა რიგებში. სოციალიზმის გაფართოება სულ სხვას ნიშნავს.

ჩვენი პროგრამის საერთო ნაწილში შეტანილი უნდა იქნას პროლეტარულ სახელმწიფოების პრობლემა, როგორც ყველა დაჩაგრულთა მიმზიდველობის ცენტრის. მუშურ-გლეხური მთავრობის საკითხის შესახებ. ჩვენ უნდა ვთქვათ, რომ წმინდა გლეხური მთავრობა ვერ იქნება დღეგრძელი, ბრძოლა ბურჟუაზიასა და გლეხობას შორის საბოლოო ანგარიშით არის ბრძოლა გლეხობაზე გავლენისათვის.

მე შემომაქვს შემდეგი პრაქტიკული წინადადება: ყველა პარტიებმა უნდა წარუდგინონ კომინტერნს თითეული ქვეყნის მდგომარეობის ანალიზი მიმდინარე პერიოდში, თითეულმა პარტიამ ფორმულიროვკა უნდა გაუკეთოს თავის ნაწილობრივ მოთხოვნილებებს. პროგრამაში მიღებული, გამოცდილების მიხედვით დასაბუთებული უნდა იქნას ჩვენი კამპანია ერთიანი ფრონტის სასარგებლოდ, პარტიებმა უნდა წარმოადგინონ მასალები ნაციონალური საკითხის შესახებ.

ᲠᲣᲠᲘᲡ ᲝᲚᲥᲘᲡ ᲝᲙᲣᲞᲐᲪᲘᲐ

შიმშილის ბლოკადა.

ბერლინი. 21 ივნისი. შიმშილის ბლოკადა მძიმე უღლად აწევს რურის მცხოვრებლებს. საკონტროლო სადგურებთან თავს იყრიან ვაგონები რამოდენიმე ასი ათას ლიტრა რძით. სამრეწველო რაიონის რამდენიმე ათასი ბავშვები სრულებით მოკლებული არიან რძეს. დორტმუნდის ახლოს ფრანგებმა ხელში ჩაიგდეს მთელი მატარებელი რძით, გადმოიღეს იქიდგან ყველა ჭურჭლები და დაამტვრიეს.

ბერლინი. 21 ივნისი. საფრანგეთის ხელისუფლებისათვის გაკეთებულ გაფრთხილებაზე, რომ საფრანგეთის მიერ მიღებული ზომები შიმშილს გამოიწვევს რურში, საფრანგეთის სამხედრო ხელისუფლებამ უპასუხა „ჩვენც ეს გვინდაო“.

გადასახლება.

ბერლინი. 21 ივნისი. რურში საკუთარ ბინებიდან გამოასახლეს რამდენიმე ასი რკინისგზელი. გამოსახლებაში მონაწილეობას იღებდენ ადგილობრივი ჯარები.

ბერლინი. 21 ივნისი. ვოლფის სააგენტო ბერლინიდან იტყობინება, რომ პრეზიდენტმა ებერტმა განკარგულება მოახდინა რურიდან გადმოსახლებულ გერმანელთა დაბინავების შესახებ; გადმოსახლებულთა რიცხვი ყოველდღე იზრდება.

ლოზანას კონფერენცია.

ანგორა. 19 ივნისი. ლოზანას კონფერენციაზე შექმნილ გაურკვეველ მდგომარეობის გამო რადგანაც შეუძლებელია გადაჭრა ალტერნატივა, თუ რა ოდენობა ვალიუტით უნდა იქნეს გადახდილი ოსმალეთის ვალის პროცენტები, ოსმალეთის კომისარიატ საბჭოს თავმჯდომარემ გამოაქვეყნა დეკლარაცია, რომელშიაც აღნიშნავს, რომ ოსმალეთის დელეგაციის მოქმედება ლოზანას კონფერენციაზე გამოწვეულია იმით, რომ ოსმალეთი სცდილობს მიაღწიოს ისეთ პირობების შესრულებას, რომელიც უზრუნველყოფს ოსმალეთის დამოუკიდებლობას. დეკლარაციაში გამოთქმულია რწმენა, რომ მსოფლიოს საზოგადოებრივი აზრი მიუდგომლად შეაფასებს დღევანდელ მდგომარეობას და კონფერენციის შესაძლებელ ჩაშლისათვის მთელ პასუხისმგებლობას დააკისრებს დიდ სახელმწიფოებს, რომელნიც უკარნახებს ოსმალეთს არა სამართლიან და შეუსრულებელ პირობებს. ოსმალეთისათვის სრულიად მიუღებელია პირობები, რომელიც ლახავს მის ეკონომიურ დამოუკიდებლობას, რადგან ეს ნიშნავს აგრეთვე პოლიტიკურ დამოუკიდებლობის შელახვასაც. ოსმალეთის მთავრობის და საზღვარ-გარეთის საზოგადოებათა შორის წარმოებული მოლაპარაკების დადებითი შედეგები მოწმობს იმას, რომ ოსმალეთს სურს მიაღწიოს შეთანხმებას სახელმწიფოებთან. დეკლარაციაში ნათქვამია, რომ ოსმალეთის ხალხი გულწრფელად მიილტვის მშვიდობიანობისაკენ, მაგრამ მან გადასწყვიტა, არ დაემორჩილოს უკანონო და უსამართლო მოთხოვნილებებს და მზად არის გადაიტანოს კიდევ მეტი შევიწროება უკეთესი მერმისისათვის.

ოსმალეთის ვალის პროცენტების საკითხის გამო დეკლარაციაში მათქვამია, რომ ოსმალეთს შეუძლია გადაიხადოს მხოლოდ ქაღალდის ფრანკებით და სხვა გვარად საკითხის გადაჭრა მას მიაჩნია უკანონოთ და წინასწარ უარყოფს მას.

რუსეთი და ინგლისი.

ლონდონი. 20 ივნისი. ინგლისის პრესა ერთხმად აღიარებს, რომ ბრიტანეთის პასუხის შემდეგ, მიწერ-მოწერა რუსეთს და ინგლისს შორის კონფლიქტის გამო დასრულებულად უნდა ჩაითვალოსო.

გაზ. „მორნინგ პოსტი“ არავითარ კომენტარიებს არ იძლევა დღეს ბრიტანეთის ნოტის გამო, რაც ამტკიცებს შეურიგებელ კონსერვატორტა საზოგადოებას.

გაზ. „მანჩესტერ გარდინი“ აგონებს კერზონს, რომ გაუგებრობა, რომელიც ეხება ბრიტანეთის ახალ მოთხოვნილებებს ინგლისელ მოქალაქეთათვის ზარალის ანაზღაურების შესახებ, სინამდვილეში გამოწვეულია მისი 10 მაისის მემორანდუმით, რომელშიაც ის მოითხოვდა ბრიტანეთის ქვეშევრდომთათვის რევოლიუციის დროს მიყენებულ ზარალის ანაზღაურებას.

გაზ. „დეილი გერალდი“ აღნიშნავს, მუშათა პარტიის წრეებში შემჩნეულ აღფრთოვანებას იმ სა-

ᲫᲕᲔᲚᲘ ᲔᲒᲠᲐᲣᲚᲘ ᲞᲝᲔᲖᲘᲘᲓᲐᲜ

უკვდავი პოემა—პასტორალი, რომლის ახალ თარგმანს მკითხველი ქვემოთ გაეცნობა, გადმოცემით ებრაელების სახელოვან მეფეს, სოლომონს, მიეწერება. ამ პოემას კარგად იცნობდენ ჩვენი ძველები, რომელთაც მოგვცეს მისი ჩინებული თარგმანი. სამწუხაროდ დღემდე იმ ძველი ტექსტის რიგიანი კრიტიკული გამოცემა არ მოგვეპოება. ეკლესია ამ პოემას თავისებურად ჰხსნიდა და იყენებდა. მოუსყიდველმა სამეცნიერო კრიტიკამ კი ამ უკვდავ ნაწარმოებს დაუბრუნა მისი პირვანდელი წმინდა ლიტერატურული და ესთეტიური ღირებულება. როგორც სჩანს, ამ ღირებულებას ზოგჯერ ჩვენი ძველებიც კარგად ჰგრძნობდენ, რითაც ალბად აიხსნება ის მოვლენა, რომ უკვე ხალხურმა ქართულმა პოეზიამ საუცხოოდ გამოიყენა ამ პოემის სიუჟეტი თავის „ეთერიანში“ ანუ „აბესალომ და ეთერში“, ხოლო მე-XVIII-ე საუკუნის დიდმა ლირიკოსმა და სიყვარულის უბადლო მღერალმა ბესიკმა მოხდენილად ჩააკერა თავისი „რძალ დედამთილიანის“ ერთ საუკეთესო ლირიკულ ადგილას მთელი ფრაზა ამ პოემიდან (თავი 2, მუხ. 6, შეად. „რძალ-დედამთილიანი“ ხანები 91 და 93).

ეს პოემა ყველა თანამედროვე კულტურულ ენაზეა ნათარგმნი. დღემდე ჩვენ მისი მხოლოდ ძველი თარგმანები მოგვეპოებოდა, და, როგორც საფიქრებელია, არა პირდაპირ ებრაული დედნიდან. ამიტომ ულრმესი მადლობის ღირსია ახალგაზდა მგოსანი გერცელ ბაზოვი, რომელმაც იტვირთა ამ პოემის გადმოღება პირდაპირ ებრაულიდან თანამედროვე ქართულ ენაზე.

ს. გორგაძე.

1923, VI, 18.

—:—

1. ᲒᲐᲚᲝᲢᲒᲐᲗᲐ ᲒᲐᲚᲝᲢᲒᲐ
ᲡᲝᲚᲝᲛᲝᲜᲘᲡᲐ.

თარგმანი ებრაულიდან.

* *

2. [ნეტავი] მაკოცებდეს თავისი პირის კოცნით,
რადგანაც შენი ალერსი ღვინოზე უკეთესია.
3. შენი ზეთების—გადმომდინარი ზეთის—
საამო სუნია შენი სახელი;
ამისთვის ქალწულებს უყვარხართ.
4. მიმიზიდე შენკენ [და] გავიქცეთ!
მეფემ მიმიყვანა თავის ოთახებში.
ვილხენთ და ვიმხიარულებთ შენთვის,
მოვიგონებთ შენს ალერსს, ღვინოს რომ სჯობია.
სისწორით უყვარხართ შენ!

* *

5. შავი ვარ, მაგრამ ლამაზი, იერუსალიმის ასულნო,
როგორც კედარის კარვები და სოლომონის
[illegible]
6. ნუ მიცქერით, რომ შავი ვარ,
რადგანაც მზემ დამწვა!
დედიჩემის შვილები გამიჯავრდენ,
დამსვეს ვენახების სადარაჯოდ,
მე კი ჩემ ვენახსაც ვერ ვუდარაჯე.
7. გამაგებინე, რასაც ეტრფის ჩემი სული:
სად მწყესავ,
სად აძოვებ შუადღისას?
რად უნდა ვიყო მოხეტიალე,
შენი ამხანაგების ჯოგებთან?
8 —თუ შენ არ იცი, მშვენიერო ქალთა შორის,
გაჰყევი ცხვრის კვალს
და იძოვე შენი თიკნები
მწყემსების ბინებთან.

* *

9. ჩემ დედალ ცხენს ფარაონის ეტლებში
შეგადარე, მეგობარო!
10. ლამაზია შენი ლოყები მძივებში
შენი ყელი—ფარლულებში.
11. ოქროს მძივებს გაგიკეთებთ შენ
ვერცხლის წერტილებით.
12. —სანამ მეფე სუფრაზე იყო,
ჩემმა ნარდმა სუნი გამოსცა.
13. მურის თაიგულია ჩემი საყვარელი ჩემთვის;
ის ჩემ ძუძუებში მოისვენებს.
14. კვიპრის მტევანია ჩემი საყვარელი ჩემთვის
ყენ—გედის ვენახებში.
15. —მშვენიერი ხარ, მეგობარო, მშვენიერი:
შენი თვალები მტრედებია.
16. —მშვენიერი ხარ, საყვარელო, და საამო;
ჩვენი საწოლიც მობიბინეა.
17. —ჩვენი სახლების ბანები ნაძვებია,
ჩვენი ავეჯეულობა კვიპაროზია.

2.

1. —მე ნარგიზი ვარ სარონისა,
შროშანი ვაკეებისა.
2. —როგორც შროშანი ეკლებში,
ისეა ჩემი მეგობარი ქალიშვილებში.
3. —როგორც ვაშლი ტყის ხეებში,
ჩემი საყვარელიც ისეა ვაჟებში;
მის ჩრდილში ვნატრობდი და დავჯექი,
და მისი ნაყოფი გაუტკბა ჩემ სასას.
4. მიმიყვანა ღვინის სახლში
და მისი დროშა ჩემზე სიყვარულია!
5. მომამაგრეთ ყურძნის სურნელებით,
მომიწყვეთ საწოლი ვაშლებისა,
რადგანაც ავად ვარ სიყვარულით!
6. მისი მარცხენა (ხელი) ჩემი თავის ქვეშაა,
და მისი მარჯვენა—მეხვევა.
7. —გაფიცებთ თქვენ, იერუსალიმის ასულნო,
ნიამორებს, გინდ მინდვრის ფურ-ირმებს:
არ გააღვიძოთ და არ გამოაფხიზლოთ სიყვარული,
სანამ მოინდომებდეს.

* *

8 საყვარლის ხმა მესმის!
აგერ მოდის,
მორბის მთებზე,
მოხტის ქედებზე!
9. ჩემი საყვარელი ჰგავს ნიამორს
ან ირმის ნუკრს!
აგერ ის დგას ჩვენი კედლის უკან,
იყურება ფანჯრებიდან,
იცქირება ჭუჭრუტანებიდან.
10. ჩემმა საყვარელმა მიპასუხა და მითხრა:
„ადექ, ჩემო მეგობარო, ჩემო მშვენიერო, და წამოდი!
11. რადგან აგერ ზამთარმა გაიარა,
წვიმამ გადიღო და წავიდა;
12. ყვავილები გამოჩნდენ ქვეყნად,
სიმღერის დრომ მოაწია
და გვრიტის ხმა გაისმა ჩვენს ქვეყანაში.
13. ლეღვმა გამოიღო კუკურები
და ვაზებმა აყვავებისას გამოსცეს სუნი.
ადექ, ჩემო მეგობარო, ჩემო მშვენიერო, და წამოდი!
14. ჩემო მტრედო! კლდის ნაპრალებზე,
ფრიალოს საფეხურებზე
დამანახე შენი სახე,
გამაგონე შენი ხმა,
რადგან შენი ხმა საამოა და შენი სახე—ლამაზი“...
15. —დაგვიჭირეთ მელები,
პატარა მელები, ვენახების გამფუჭებლები,
[რადგან] ჩვენი ვენახები ყვავიან!—
16. —ჩემი საყვარელი მე [მეკუთვნის] და მე მას,
ვინც შროშანებში მწყესავს.
17. —სანამ დღე აგრილდებოდეს
და ჩრდილები გაიფანტებოდენ,
დატრიალდი! დაემსგავსე, ჩემო საყვარელო,
ნიამორს ან ირმის ნუკრს მთებს შუა.

* *

3.

1. ჩემ საწოლზე ღამეებში
ვეძებდი იმას, ვისაც ეტრფის ჩემი სული;
ვეძებდი და ვერ ვიპოვე.
2. მოდი ავდგები და შეძოვივლი ქალაქს,
ქუჩებით და მოედნებით,
მოვძებნი მას, ვისაც ეტრფის ჩემი სული,
ვეძებდი და ვერ ვიპოვე.
3. მიპოვეს ყარაულებმა, რომლებიც გარს
უვლიდენ ქალაქს:
„არ გინახავთ, ვისაც ეტრფის ჩემი სული?“
4. როგორც კი გავსცდი მათ,
ვიპოვე, ვისაც ეტრფის ჩემი სული.
ხელი ვსტაცე და არ მოვეშვი,
სანამ მივიყვანდი დედიჩემის სახლში
და ჩემი მშობლის ოთახში.
5. —გაფიცებთ თქვენ, იერუსალიმის ასულნო,
ნიამორებს, გინდ ირმის ფურ-ირმებს:
არ გააღვიძოთ და არ გამოაფხიზლოთ სიყვარული,
სანამ მოინდომებდეს!

* *

6. ვინაა ის, უდაბნოდან რომ მოდის,
როგორც კვამლის ნაკადი,
მურისა და საკმევლის წევით
და ვაჭრის ყოველგვარი ფხვნილი წამლებით
7. —აგერ ტახტი სოლომონისა,
მას სამოცი გმირი გარს არტყია
ისრაელის გმირებისგან;
8. ყველას ხმლები უკავია,
ბრძოლაში გაწვრთნილები არიან,
ყოველ მათგანს ხმალი თეძოზე აქვს
ღამეების შიშით.
9. ტახტრევანი გაიკეთა სოლომონ მეფემ
ლიბანის ხეებისაგან:
10. სვეტები გაუკეთა ვერცხლისა,
მკლავსაყრდნობი ოქროსი,
საჯდომი—მეწამული,
შიგ კი მოქარგულია სიყვარული
იერუსალიმის ასულთაგან.
11. გამოდით და შეხედეთ, სიონის ასულნო,
სოლომონ მეფეს
იმ გვირგვინში, რომლითაც დააგვირგვინა მისმა დედამ
მისი ქორწილისა
და მისი გულის სიხარულის დღეს!

* *

4.

1. მშვენიერი ხარ, მეგობარო, მშვენიერი;
შენი თვალები მტრედებია
შენი პირბადის ქვეშ.
შენი თმები თხების ჯოგია,
გილყადის მთიდან რომ ჩამოეშვენ.
2. შენი კბილები გაკრეჭილი ცხვრის ჯოგია,
საბანაოდან რომ ამოვიდენ;
ყველანი ტყუპებს ჰბადებენ
და ბერწი არ არის მათ შორის.
3. წითელი ძაფია შენი ტუჩები
და შენი პირი ლამაზია;
ბროწეულის ნაჭერია შენი საფეთქელი
შენი პირბადის ქვეშ.
4. შენი ყელი დავითის კოშკია,
სავარჯიშოდ აგებული;
ათასი ფარია მასზე ჩამოკიდებული
ყველა—გმირების ფარებია.
5. შენი ორი ძუძუ ორი ახალგაზდა ირემია,
ნიამორის ტყუპები,
შროშანებში რომ სძოვენ.

ელმწიფოებრივი სიბრძნის გამო, რომელიც გამოიჩინა საბჭოთა მთავრობის წარმომადგენელმა კრასინმა.

ლონდონი. 18 ივნისი. რუსეთის დეპეშათა სააგენტოს კორესპონდენტთან საუბრის დროს, ლანობერიმ განაცხადა: „რუსეთ-ინგლისის კონფლიქტის მშვიდობიანად გადაწყვეტის გამო, საბჭოთა რუსეთის ცნობის შანსები ფაქტიურად გაძლიერდა". საგარეო პოლიტიკის საკითხების მცოდნე, მუშათა პარტიის წევრმა, მორელმა, განაცხადა: „საჭიროა კონფერენციის მოწვევა ყველა სადაო საკითხების გამოსარკვევად. მე ამ საკითხს დავსვამ პარლამენტში, და მუშათა კლასი ამ მხრივ გავლენას მოახდენს მთავრობაზე".

გადატრიალება ბულგარეთში.

ვენა. 20 ივნისი. ბულგარეთის მთავრობის მდგომარეობა რამოდენიმედ განმტკიცდა. ნაციონალური კრების არჩევნები მოხდება სექტემბრის ბოლოს, არჩევნების სისტემა ჯერ კიდევ არ არის დაწესებული.

ახალმა მთავრობამ გააუქმა სტამბულინსკის მიერ გამოცემული კახონი შრომის ბეგარის შესახებ.

ახალ მთავრობაში ძლიერდება რეაქციონური ტენდენციები. „რაბოტნიჩესკი ვესტნიკ"-ის ცნობით, მთავრობა ცდილობს პროვოკაციის ანკესზე წამოაგოს პროლეტარიატი, ადგენს რა თეთრ გვარდიას; აკრძალულია კომპარტიის კრებები, გაძლიერებულია პრესის ცენზურა.

მენშევიკების პოზიცია.

ვენა. 22 ივნისი. მენშევიკები იცავენ ახალი მთავრობის პოლიტიკას, რომელიც ემხრობა სოციალ-დემოკრატების მონაწილეობას მთავრობაში, რათა დაამტკიცოს თავისი ლიბერალიზმი.

სოფიის ქალაქის თავად დანიშნულია სოციალ-დემოკრატი პლახტაკოვი.

ვენა. 22 ივნისი. სოფიაში მიღებულია პუანკარეს დეპეშა, რომელშიაც ის აღნიშნავს ახალი მთავრობის მშვიდობიანობის მოყვარულობას და აცხადებს, რომ საფრანგეთი მხარს დაუჭერს მის მშვიდობიან პოლიტიკას.

უნგრეთის რეაქციონერები და გადატრიალება.

ვენა. 22 ივნისი. სავსებით გამოირკვა, რომ მჭიდრო კავშირი არსებობდა უნგრეთის რეაქციონერებს და ბულგარეთის გადატრიალების მონაწილეებს შორის. უნგრეთის სამხედრო წრეებმა დიდი როლი ითამაშეს გადატრიალების მომზადებაში ეს გადატრიალება, უსათუოდ, გამოიწვევს ცვლილებებს უნგრეთის საგარეო პოლიტიკაში.

დამახასიათებელია ის, რომ სოციალ-დემოკრატიული გაზეთი ესალმება ამ გადატრიალებას, ხოლო გაზ. „ვინერ არბეიტერ-ცეიტუნგ"-ი გადატრიალებას უწოდებს რეაქციის დასაწყისს.

ახლო აღმოსავლეთში.

ანგორა. 17 ივნისი. მეჯლისის საარჩევნო კამპანია დაიწყო. ჩატალჯასა და ბერექეთში ქემალისტების კანდიდატები აირჩიეს. „ხაკიმიელ მილის"-ი სასტიკად ილაშქრებს დამოუკიდებელ სიების წამოყენების წინააღმდეგ და უწინასარმეტყველებს, რომ ასეთი სიებით ფონს ვერ გავლენო.

ანგორა. 17 ივნისი. სირნიდან დაბრუნებული იუსუფ-ნადი „ენი-გიუნ"-ში აღნიშნავს სირნის ოლქის განახლებას და კერძოდ სასოფლო-სამეურნეო იარაღების მოთხოვნილების ზრდას. დემოკრატიული მოძრაობა ძლიერდება. ბოლოს მოუწოდეს, რათა გააძლიერონ იქ ეკონომიური შემოქმედება.

ანგორა. 20 ივნისი. პრესის წარმომადგენლებთან საუბრის დროს, რაუფ ბეიმ განაცხადა, რომ ოსმალეთი წავიდა ყველა შესაძლებელ დათმობაზე და ის მეტს ვეღარაფერს დასთმობს. ოსმალეთი არ დათანხმდება ისეთ პირობებზე, რომელიც ეწინააღმდეგება მის ეკონომიურ დამოუკიდებლობას.

ანგორა 20 ივნისი. ოსმალეთის ფინანსთა კომისარის განცხადების თანახმად, საფრანგეთს არ აქვს უფლება მოსთხოვოს ოსმალეთს პროცენტების ოქროთი გადახდა მაშინ, როდესაც თვითონ უარს ამბობს გადაიხადოს თავისი ვალები ფრანკებითაც.

ანგორა 20 ივნისი. იტყობინებიან, რომ გალიპოლზე გამოჩდენ ინგლისის ჰაეროპლანები.

ᲐᲮᲐᲚᲘ ᲐᲛᲑᲐᲕᲘ

კოჯორის ბავშვთა საავადმყოფოს ხარჯთღრიცხვის დამტკიცება. დამტკიცდა მოსამსახურეების ჯამაგირები 356 მან. 10 კაპ. თვიურად. საავადმყოფოს მოსაწყობათ ერთდროული ხარჯები ნახევართ მილიარდი ბონით და ავადმყოფთა და მოსამსახურეთა გამოსაკვებათ დღიურათ 29 მან. 86 კაპ. შავი ოქროთი.

— **უპარტიო ქალთა კონფერენცია.** ბათომში შედგა უპარტიო ქალთა კონფერენცია, რომელმაც გამოიტანა დადგენილება აღიძრას შუამდგომლობა ვისთანაც ჯერ არს: 1) ქალთათვის ვენერიული გაყოფილები გახსნის, 2) საბავშვო სავადმყოფოს მოწობის სდა 3) ჩაქვში და ბარცხანაში სამშობიარო თავშესაფარის დაარსების შესახებ დასასრულ არჩეულ იქმნა პრეზიდიუმი.

— **საბჭოების ყრილობა.** აჭარის სამაზრო და სათემო საბჭოების ყრილობა დამთავრდა თვრამეტ ივნისს.

— **შაქარი.** ამიერ-კავკასიის საგარეო ვაჭრობის კომისარიატის ბათომის განყოფილებამ გაგზავნა სოხუმში ორი ვაგონი შაქარი რეალიზაციისათვის.

— **ჟვსტი.** ამავე კომისარიატმა მიიღო ევროპიდან 2,000 ფ. ჟესტი.

— **თხილი.** „ცენტროსოიუზმა" მოსკოვში გაგზავნა 1000 ფ. თხილი.

— **ჯარი საავარაკოთ.** ქართულ წ.-ჯარის მეტი ნაწილი გაემგზავრა საავარაკოთ, სადაც გადატანილია კულტ-განყოფილების და პოლიტიკური მუშაობის ცენტრი.

— **ადგრბეიჯანის ალფაბეტი** უკვე შემუშავდა ადერბეიჯანულ ენის ალფაბეტი.

— **მგზავრობის უშიშროებისათვის** მთავრობამ მიიღო პროექტი რკ. გზაზე მგზავრობის უშიშროებისათვის დაცვის შემოღება.

— **წყალტუბის აბანო.** დასრულდა შეკეთება წყალტუბის აბანოსი.

— **ცნობები ამერიკული კომიტეტის მოქმედების შესახებ.** უფასო სადილს ღებულობს 5341 ბავშვი აქედან: 1529 რუსი—28,6-პროც. 2177 ქართველი—40,8-პროც. 1159 სომეხი—21,7-პროც. 476 სხვა ეროვ.—8,9-პროც.

სოციალური მდგომარეობით მუშების შვილები—41,8-პროც. საბჭ. მოსამს.—25,1-პროც. შრომის უნარ მოკ.—5,1-პროც. უმუშევართა—22,6-პრ. დანარჩენთა—5,4-პრ. ობლები—1689 მშობლებთან—2701.

— **ქართველი უდინები.** დღეს 1 სახელმწიფო კონსერვატორიაში ისტორიკოსი მოსე ჯანაშვილი წაიკითხავს მოხსენებას ქართველ უდინების შესახებ, დასაწყისი 11 საათზე.

— **საგალიუტო ბირჟა.** 23 ივნისის ოფიციალური კურსი: ჩერვონეცი—13,600 ათ., გირვანქა სტერლინგი—14,700 ათ., დოლარი—3,500 ათ., ოსმალური ლირა—2,380 ათ., ფრანკი—170 ათასი მანეთი ამიერ-კავკასიის ბონებით.

— **საქონლის ბირჟა.** 23 ივნისს გაძვირდა ხორბალი. (იაჩმენ) შაქრის მოთხოვნილება მტკიცეა, განსაკუთრებრის რაფინადზე.

— **ოქრო და ვერცხლი.** ოქრო ნატეხების და ვერცხლის მანეთიანების კურსის განსაზღვრა უკანასკნელ კვირას არ იყო.

ᲙᲕᲘᲠᲐᲡ, ᲘᲕᲚᲘᲡᲘᲡ 1, ᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ ᲛᲗᲐᲕᲐᲠ ᲙᲚᲣᲑᲨᲘ
ᲛᲝᲬᲕᲔᲣᲚᲘᲐ
საქ. მემარცხ. სოც.-ფედ. პარტიის
ᲢᲤᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲡᲐᲥᲐᲚᲐᲥᲝ ᲙᲝᲜᲤᲔᲠᲔᲜᲪᲘᲐ
ᲓᲦᲘᲡ ᲬᲔᲡᲠᲘ�გᲘ:

1. **საერთაშორისო მდგომარეობა.**
2. **პარტიული მუშაობა.**
3. **ტფილისის კომიტეტის ანგარიში.**
4. **მოხსენებანი ადგილებიდან.**
5. **მიმდინარე საკითხები.**
6. **არჩევნები ტფილისის კომიტეტის და სარევიზიო კომისიისა.**

დელეგატებს ირჩევს სარაიონო ორგანიზაციული საზოგადო კრება მეტრის მიხედვით.

ფრაქციები, ახალგაზრდათა კავშირი და სტუდენტთა ორგანიზაცია გზავნის თითო დელეგატს **ხათათბირო** ხმით.

კონფერენცია გაიხსნება დილის 11 საათზედ.

ტფილისის კომიტეტი.

6.

6. სანამ დღე აგრილდებოდეს
და ჩრდილები გაიფანტებოდენ
წავალ მურის მთაზე
და საკმევლის ქედზე.
7. ფრიად მშვენიერი ხარ, მეგობარო,
და შენში ნაკლოვანება არაა.
8. წამოდი ჩემთან ლიბანიდან, დედოფალო,
ჩემთან ლიბანიდან!
გამოეშურე ამანის მწვერვალიდან
სენირისა და ხერმონის მწვერვალიდან
ლომების ბინებიდან,
ვეფხვების მთებიდან!
9. შენ ჩემი გული დაატყვევე, ჩემო დაო, დედოფალო,
ჩემი გული დაატყვევე ერთი შენი თვალით,
ერთი ფარღულით შენ ყელზე.
10. რა მშვენიერია შენი ალერსი, ჩემო დაო, დედოფალო,
რამდენად სჯობია შენი ალერსი ღვინოს
და შენი ზეთების სუნი ყოველ სურნელებას!
11. გოლეულს სწვეთავს შენი ტუჩები, დედოფალო;
თაფლი და რძეა შენი ენის ქვეშ,
და შენი ტანისამოსის სუნი ლიბანის სუნია.
12. დაკეტილი ბაღი ხარ, ჩემო დაო, დედოფალო,
დაკეტილი ნაკადული, წყარო დაბეჭდილი.
13. შენი შტოები ბროწეულების წალკოტია,
ძვირფასი ნაყოფებით,
კვიპრებითა და ნარდებით;
14. ნარდი და ზაფრანა, ქურქუმა და კინამო.
საკმევლის ყველა ხეებით;
მური და ალო
ყველა მთავარი სურნელებებით;
15. ბაღების წყარო,
ცოცხალი წყლის ჭა,
გამომდინარხი ლიბანიდან.
16. გამოიღვიძე ჩრდილოეთის (ქარო)
და მოდი სამხრეთის (ქარო)!
გააგრილე ჩემი ბაღი,
იწვეთოს მისმა სურნელებამ!
—მოვიდეს ჩემი საყვარელი თავის ბაღში
და სჭამოს ძვირფასი ნაყოფები!

5.

1. — შევედი ჩემ ბაღში, ჩემო დაო, დედოფალო,
მოვკრიფე მური ჩემი სურნელებით,—
ვჭამე ჩემი გოლეული ჩემი თაფლით,
დავლიე ჩემი ღვინო ჩემი რძით...
— სჭამეთ, მეგობრებო, სვით და დაითვერით,
საყვარლებო!

* *

2. მე მძინავს და ჩემს გულს ჰღვიძავს;
ხმაა! ჩემი საყვარელი არაკუნებს:
„—გამიღე ჩემო დაო, ჩემო მეგობარო,
ჩემო მტრედო, ჩემო წმინდა,
რადგან თავი ამევსო ნამით,
ხუჭუჭი—ღამის წვეთებით".
3. —გავიხადე ჩემი კვართი, როგორღა ჩავიცვა?
დავიბანე ფეხები, როგორღა გავისვარო?
4. ჩემმა საყვარელმა ხელი გამოჰყო ნახვრეტიდან
და ჩემი შიგნეულობა აირია მისთვის.
5. ავდექი, რომ გამეღო ჩემი საყვარლისთვის,
და ჩემი ხელები სწვეთდა მურსა
და ჩემი თითებიდან მური გადადიოდა
კარსაკეტის სახელურებზე.
6. გავიღე ჩემს საყვარელს...
...ჩემი საყვარელი გაქრა წავიდა...
სული აღმომხდა, როცა ის ლაპარაკობდა!..
ვეძებე და ვეღარ ვიპოვე,
ვუძახე და არ მიპასუხა.
7. მიპოვეს ყარაულებმა, რომლებიც გარს უვლიდენ ქალაქს,
მცემეს, დამჭრეს;
წამგლიჯეს საბურველი გალავნის ყარაულებმა.
8. გაფიცებთ თქვენ, იერუსალიმის ასულნო:
თუ ჰნახავთ ჩემს საყვარელს,
რას ეტყვით მას?..
რომ მე ავად ვარ სიყვარულით.
9. —რით სჯობია შენი საყვარელი სხვა საყვარლებს,
მშვენიერო ქალთა შორის?..
რით სჯობია შენი საყვარელი სხვა საყვარლებს,
ასე რომ გვაფიცებ?
10. —ჩემი საყვარელი ნათელია და წითური,
გამორჩეული ათიათასთა შორის.
12. მისი თავი წმინდა ოქროა,
მისი ხუჭუჭი ვაზის კულულებია
ყორანივით შავები.
12. მისი თვალები მტრედებია,
წყლის ნაპირებზე რძეში რომ ბანაობენ,
კმაყოფილებაში რომ სხედან.
13. მისი ლოყები სურნელების ბაღჩაა,
სურნელოვან მცენარეთა კვალია;
მისი ტუჩები შროშანებია,
საიდანაც წვეთავს მური მომდინარე;
14. მისი ხელები ოქროს რგოლებია,
იაგუნდით ავსებული;
მისი მუცელი სპილოს ძვლისგან ნაკეთებია,
საფირონებით დაფარული;
15. მისი წვივები მარმარილოს სვეტებია,
ოქროს კვარცხლბეკზე დაყრდნობილი;
მისი შესახედაობა ლიბანისაა,
რჩეულია ნაძვებივით.
16. მისი სასა ტკბილეულებია
და მთლად იგი ნეტარებაა.
ესაა ჩემი საყვარელი და ესაა ჩემი მეგობარი,
იერუსალიმის ასულნო!

6.

1. —სად წავიდა შენი საყვარელი,
მშვენიერო ქალთა შორის?
საით გასწია შენმა საყვარელმა?
[გვითხარ] და ჩვენ მოვსძებნით მას შენთან ერთად!
2. —ჩემი საყვარელი თავის ბაღში ჩავიდა,
სურნელებათა კვლებში,
ბაღებში სამწყესავად
და შროშანების დასაკრეფად.
3. მე [ვეკუთვნი] ჩემ საყვარელს და ჩემი საყვარელი—მე
შროშანებში რომ მწყესავს.

* *

4. მშვენიერი ხარ, მეგობარო, თირცასავით,
ლამაზი იერუსალიმივით
(და) მრისხანე, როგორც (ჯარი) დროშებით!
5. მომარიდე შენი თვალები, რადგანაც მათ აღმაფრთოვანეს;
შენი თმა თხების ჯოგია,
გილყადიდან რომ ჩამოეშვენ.
6. შენი კბილები გაკრეჭილი ცხვრის ჯოგია,
საბანაოდან რომ ამოვიდენ;
ყველანი ტყუპებს ჰბადებენ
და ბერწი არ არის მათ შორის.
7. ბროწეულის ნაჭერია შენი საფეთქელი
შენი პირბადის ქვეშ.
8. სამოცი არიან დედოფლები, ოთხმოცი-მხევლები
და ურიცხვი-ქალწულები.
9. ერთი არის ჩემი მტრედი, ჩემი წმინდა,
ერთია თავისი დედისათვის,
რჩეულია თავისი მშობლისათვის.
დაინახეს ქალიშვილებმა და მოიწონეს,
დედოფლებმა და მხევლებმა—აქებს.
10. —ვინაა ეს, ცისკარივით რომ იცქირება
მთვარესავით მშვენიერი, მზესავით რჩეული
და მრისხანე, როგორც (ჯარი) დროშებით?
11. —ნიგვზის ბაღში ჩავედი,
რომ მენახა, დაყვავილებულა თუ არა ვაზი,
გამოუსხამს თუ არა ნაყოფი ბროწეულებს?
12. არ ვიცოდი, ჩემი სული [თუ მიქადდა]
ეტლში ჯდომას ჩემი ერის კეთილშობილთა შორის.

7.

1. —დაბრუნდი, დაბრუნდი, სულამით,
დაბრუნდი, დაბრუნდი, და ჩვენ [დაგიწყებთ] ცქერას.
—რად უნდა უცქიროთ სულამითს,
როგორც ორწყება ფერხულის თამაშს?

* *

2. რა მშვენიერია შენი ფეხები ფეხსაცმელებში,
კეთილშობილის ასულო!
შენი თეძოების სიმრგვალე სამკაულია,
ხელოვანის ხელით გაკეთებული.
3. შენი უპე მრგვალი თასია,
რომელსაც სასმელი არ აკლია.
შენი მუცელი ხორბლის ხვავია,
შროშანებით გარშემორტყმული.
4. შენი ორი ძუძუ ორი ნუკრია,
ნიამორის ტყუპები.
5. შენი ყელი სპილოს ძვლის კოშკია;
შენი თვალები ხესბონის ტბებია
ბათ—რაბიმის ჭიშკართან;
შენი ცხვირი ლიბანის კოშკია,
დამასკისკენ რომ იცქირება.
6. თავი გადგია ქარმელივით
და შენი თავის კავები მეწამულია;
მეფე პატიმარია ხუჭუჭებისა!
7. რა მშვენიერი ხარ და საამო,
სიყვარულო, ფუფუნებათა შორის!
8. შენი ტანადობა ჰგავს ფინიკს
და შენი ძუძუები—მტევნებს.
9. ვთქვი: ავალ ფინიკზე,
მოვეჭიდები მის ტოტებს,
და, დაე, იყოს შენი ძუძუები ვაზის მტევნები,
და შენი ცხვირის სუნი, როგორც [სუნი] ვაშლებისა,
10. და შენი სასა, როგორც კარგი ღვინო...
—[რომელიც] ჩასდის ჩემ საყვარელს სწორად
და ამეტყველებს დაძინებულთა ტუჩებს...

* *

11. მე [ვეკუთვნი] ჩემ საყვარელს
და ჩემკენაა მისი მისწრაფება.
12. წამოდი, ჩემო საყვარელო, გავიდეთ მინდორში,
ღამე გავათიოთ სოფლებში!
13. ადრე ავდგეთ, [გავეშუროთ] ვენახებში!
ვნახოთ, თუ დაყვავილდა ვაზი, თუ გაიშალა ყვავილი,
თუ გამოიღეს ნაყოფი ბროწეულებმა;
იქ მოგცემ ჩემ ალერსს.
14. მანდრაგორებმა გამოსცეს სუნი
და ჩვენს კარებზე ყოველგვარი ძვირფასი ნაყოფი,
ახალი და ძველი,
შეგინახე, საყვარელო!

8.

1. ნეტავ ყოფილიყავ ჩემი ძმა,
დედაჩემის ძუძუს მწოვნელი!
გიპოვიდი ქუჩაში, გაკოცებდი,
[და] არც დამძრახავდენ.

— **ჩაი.** ტფილისის ბაზარზე გაძვირდა ჩაი, შოელიან ჩაქვიდან ჩაის დიდ პარტიებს, რაც რომ გამოიწვევს ფასების დაცემას. ბათობის რაიონში ჩაის კარგი მოსავალია.

— **მოხსენება.** კვირას 24 ივნისს საღამოს 7 სათზე ვაჟთა პირველი ტეხნიკუმის შენობაში (გუნიბის ქ. № 46) **საენათმეცნიერო საზოგადოების** მორიგ კრებაზე წაკითხული იქნება **სარგის კაკაბაძის** მიერ მოხსენება,—„მოსაზრებანი სახარების ქართულად თარგმნის შესახებ ხანმეტურ ტექსტებთან დაკავშირებით“.—

დასწრება გარეშეთაც შეუძლიათ.

— **მოთხოვნილებაა:** ქინაქინის, ნახიჩევანის მარილის, მუშის ფეხსაცმლის, თამბაქოსი, შუშის, ლურსმების, რუსეთის მანუფაქტურასი, მატყლის, ასფალტის, ინგლისის ჟესტის და სხ.

პარტიაში

სამშაბათს, ივნისის 26-ს, 2 საათზე დანიშნულია ფინანსთა კომისარიატში მომუშავე მემარცხენე სოციალ-ფედერალისტთა პარტიის წევრების საერთო კრება ადგილკომის ოთახში. ყველა ამხანაგების დასწრება სავალდებულოა. გასარჩევია საგულისხმო საკითხები.

ფრაქციის **მდივანი.**

პარასკევს, 22 ივნისს, 2 საათზე ცენტრალურ ბიუროში შესდგა მეოთხე რაიკომის მორიგი სხდომა. განხილული იქმნა შემდეგი კითხვები: 1) ტფილისის კონფერენცია 2) პარტიული მუშაობა 3) უმუშევართა საკითხი და 4) ამხ. გრიშა ხოფერიას განცხადება.

ტფილისის კონფერენციის მოწვევის შესახებ მოხსენება გააკეთა რაიკომის წევრმა ამხ. გ. ლასკარმა, რომელმაც აღნიშნა მთავარი მოტივები, კონფერენციის მუშაობისა. გამოტანილი იქმნა შესაფერისი დადგენილება.

პარტიულ მუშაობის შესახებ მოხსენება გააკეთა ამხ. გრიშა ხოფერიამ. მოხსენების შემდეგ კომიტეტმა დაადგინა: ა) ტფილისის მე-4 რაიკომს ევალება მუშაობის წარმოება კონფერენციისათვის ფრაქციებში შემდეგ ამხანაგებს: ქალაქის აღმასკომში დურუ რატიანს, მბეჭდავთა საქმის მუშებში ამხ. აკაკი სირაძეს, ფინანსთა კომისარიატში გრიგოლ ლასკარს და ფოსტა-ტელეგრაფში გ. ხოფერიას და გ. ლასკარს.

აგრეთვე დაევალა ამხ. პლატონ კვირკელიას მე-4 რაიკომის მოქმედების შესახებ მოხსენების გაკეთება მეოთხე რაიკომის საზოგადო კრებასა და საქალაქო კონფერენციაზე.

უმუშევარ ამხანაგების საკითხი გადაიდო შემდეგ მორიგ სხდომისათვის.

4) ამხ. ხოფერიას თხოვნა მდივნობიდან განთავისუფლების შესახებ იქმნა დაკმაყოფილებული. და არჩეულ იქმნა ერთხმად აკაკი სირაძე.

რაიკომის მდივანი **აკ. სირაძე.**

ოთხშაბათს, ივნისის 27, საღამოს 7 საათზე ცენტრალურ ბიუროში დანიშნულია მეოთხე რაიკომის სარევიზიო კომისიის სხდომა.

სარევიზიო კომისიის **მდივანი.**

რაშია საქმე?

(წერილი მოსკოვიდან).

წელიწადი გადის, მაგრამ მაინც არ ეტყობა სტიპენდიანტთა მდგომარეობას ერთ გარკვეულ კალაპოტში ჩადგომა. რამდენი თვე გადის, იმდენი ჯიბიდანაც ამოღებულ ფულს ხარჯავს ყოველ სტუდენტი, დროზე მიეწვალოს და შემლუბესოგვარად დახმარება აღმოუჩინოს. ამისათვის ბარტო პურისა და წყლის ჭამა არ კმარა, საჭიროა გონებრივი საზრდოც. ეს კი მოითხოვს სასწავლო ნივთებს, რომელიც დღეს ისე ძვირია, რომ ყოველი სტუდენტის „სალაროს“ ერთი მესამედი თითქმის მას უნდება. რაც შეეხება სხვა მოთხოვნილებას, როგორიცაა თეატრი, გაზეთი და სხვა ურომლისოდაც კულტურულ ადამიანს არსებობა არ ძალუძს, თუ გინდ „ბურჟუაზიულ“ საქმედ ჩავთვალოთ, მაგრამ დამეთანხმეთ, საერთო განვითარებას მოკლებული ადამიანი, რა ცოდნითაც არ უნდა იყოს ის აღჭურვილი ერთ რომელიმე დარგში, საზოგადო მუშაობისათვის არ გამოდგება.

ყველა ამისათვის კი, უნდა ვსთქვათ, თუ გვინდა რამე გამოვიდეს, საქართველოს სტიპენდიანტთა მდგომარეობა უნდა გაუმჯობესდეს, და ყოველ სტუდენტს საშუალება მიეცეს აკადემიური მუშაობის პირნათლათ წარმოებისთვის. ჩვენთვის საინტერესოა არ- მოსკოვსა და პიტერში ცხოვრება ჩვენი სტუდენტების, არამედ მათ მიერ აქ ცოდნის შეძენა ქართველი მშრომელი ხალხის მოსახმარებლად.

ამისათვის, კვლავ ვიმეორებ, საჭიროა ჩვენი სტიპენდიანტების მტკივანი ადგილი გაჯანსაღდეს. თორემ მშიერი კუჭით გონებრივი მუშაობის წარმოება ყოვლად შეუძლებელია.

კორდელი.

(2. წაგიძღვებოდი, მიგიყვანდი დედიჩემის სახლში;
შენ მასწავლიდი,
მე კი გასმევდი სურნელოვან ღვინოს
და ჩემი ბროწეულების წვენს.
3. მისი მარცხენა ხელი ჩემი თავის ქვეშაა,
და მისი მარჯვენა—მეხვევა.
4. —გაფიცებთ თქვენ, იერუსალიმის ასულნო:
რად აღვიძებთ და რად აფხიზლებთ სიყვარულს,
სანამ მოინდომებდეს?

* *

5. ვინ არის ეს, უდაბნოდან რომ ამოდის,
დაყრდნობილი თავის საყვარელზე?
—ვაშლის ქვეშ გავაღვიძე,
იქ გშობა დედაშენმა,
იქ გშობა შენმა მშობელმა.
6. —დამისვი როგორც ბეჭედი შენს გულზე,
როგორც ბეჭედი შენს მკლავზე,
რადგანაც ძლიერია სიკვდილივით სიყვარული,
სასტიკია ჯოჯოხეთივით შური;
მისი ნაკვერჩხლები—ცეცხლის ნაკვერჩხლებია,
ღვთაების ალია.
7. მრავალ წყალს არ შეუძლია ჩააქროს სიყვარული
და მდინარეებიც ვერ წალეკავენ მას;
კაცმა რომ მისცეს მთელი თავისი ქონება სიყვარულისათვის,
შერცხვენით შეარცხვენენ მას!

* *

8. პატარა და გვყავს
და მას ძუძუები არა აქვს;
რა ვუყოთ ჩვენს დას
იმ დღეს, როცა მის შესახებ დაგველაპარაკებიან?
9. ის რომ გალავანი იყოს,
ზედ ვერცხლის დარბაზს ავაგებდით,
და კარი რომ იყოს
ნაძვის ფიცრით ამოვაშენებდით.
10. —მე გალავანი ვარ
და ჩემი ძუძუები კოშკებია;
მაშინ მე ვიყავი მის თვალში მშვიდობის სათავე.
11. ვენახი ჰქონდა სოლომონს ბაყალ—ამონში;
მისცა ვენახი ყარაულებს;
თვითეულმა უნდა შემოიტანოს მის ნაყოფში ათასი ვერცხლი.
12. ჩემი ვენახი ჩემ წინაშეა.
ათასი შენ, სოლომონ,
და ორასი მისი ნაყოფის ყარაულებს!
13. ბაღებში რომ ზიხარ!
ამხანაგები ყურს უგდებენ შენს ხმას;
გამაგონე!
14. —გაიქეცი, ჩემო საყვარელო,
და დაემსგავსე ნიამორს ან ირმის ნუკრს
სურნელოვან მთებზე!

— —

მთარგმნელის შენიშვნები: ქართულ ენაზე „ქებათა ქების“ ძველი ტექსტი გამოცემულია პროფესორ ალ. ცაგარელის მიერ. („Сведения о памятниках Грузинск письменности.“ პირველი გამოცემა. ქ. სანკტპეტერბურგი. 1886 წ. გვერდი 17—56) ხოლო თანამედროვე ენაზე გადმოკეთება ეკუთვნის პეტრე მირიანაშვილს, რომელიც დაიბეჭდა ამ ორიოდე წლის წინად.

ამ ორთავე გამოცემებში დაშვებულია მრავალი შეუწყნარებელი დეფექტები, რაც ადვილი ასახსნელია იმ გარემოებით, რომ ძველი ტექსტი უძველესი ხელთნაწერია და გამორკვეული არაა, საიდან ისარგებლა მისმა გადამწერმა, ხოლო რაც შეეხება მირიანაშვილის თარგმნას, ის გადმოკეთებულია თარგმანიდან და თარგმანის თარგმანს ყოველთვის ახასიათებს ასეთი სამწუხარო მოვლენა.

რათა ქართულ ენაზე ეს დეფექტები გაწმენდილიყო, ამიტომ მე გადმოვთარგმნე ეს ნაწარმოები პირდაპირ დედნიდან. ამ თარგმანს ძირითად საფუძვლად უძევს „რომმის ქვრივის და ძმების“ გამოცემა ებრაული ბიბლიისა (ქ. ვილნო. 1907 წ. ნაწ. III. გვ. 295—333). თარგმნის დროს ვსარგებლობდი აგრეთვე შემდეგი ევროპიული თარგმნებით: 1) **ფრანგულ ენაზე:** ა) La Sainte Bible, par Louis Segond. Paris. 1910. ბ) ხანდახან ვსარგებლობდი მეორე ფრანგული თარგმანითაც Ostervald-ის ვერსიით. (Paris. 1911) 2) **გერმანულ ენაზე:** Die Bibel. მარტინ ლუთერის მიერ თარგმნილი. (Berlin 1911) 3) **რუსულ ენაზე:** ა) Библия. Санктпетербург. 1908. (სინოდის გამოცემა) ბ) А. Эфрос-ის თარგმანი „გალობათა გალობა“.

ამას გარდა ხელთ მქონდა ბ-ნი სერგო გორგაძის მიერ, ზემოხსენებული თარგმანების მიხედვით შესწორებული, ძველი ქართული ტექსტი ათონური დაბადებისა, დასაბეჭდად გამზადებული. აქვე მინდა დიდი მადლობით მოვიხსენიო ბ-ნი სერგო გორგაძე, რომელმაც აღმომიჩინა დახმარება ამ თარგმნის შესრულების დროს.

დიდრონ კვადრატიულ ფრჩხილებში მოთავსებული სიტყვები ჩამატებულია ჩემ მიერ ტექსტის გაგების გასაადვილებლად. ტექსტის ტაეპებად დაწყობა და ნაკვეთების დაყოფა Louis Segond-ის მიხედვითაა შესრულებული. დიდრონი და წვრილი არაბული ციფრებით არშიებზე აღნიშნული მაქვს ებრაული დედნის ტრადიციული დაყოფა თავებად და მუხლებად.

გერცელ ბააზოვი.

1923, IV, 10—17

ქ. ტფილისი.

მოსკოვს გამომგზავრებისას დაპირება დიდი იყო, თითქო სტუდენტი უზრუნველყოფილი იქნებოდა და მას გარდა აკადემიური მუშაობისა საფიქრებელი არ ექნებოდა. თფილისში გვპირდებოდენ, რომ სტუდენტი მიიღებს რუსეთის სტიპენდიას, ამერიკულ სადილს და საქართველოს მთავრობიდან კი თვეში ორ მილიონ მანეთს ქართული ბონითაო—ეს იყო აგვისტოში 1922 წ. მაგრამ რა? ყველაფერს ფრთები შეეკვეცა. არამც თუ დაპირების განაღდება, არამედ მთელი ორი თვის განმავლობაში სამოც კაცს მისიის ერთ ოთახში ეძინა. აქ უკვე მთელი თავის სიგრძე-სიგანით წამოიჭრა სტიპენდიის მოგვარების საკითხი. ამას წინეთ მოსკოვში იყო მ. ოკუჯავა და სხვ., რომლებიც სტუდენტობას დაპირდენ თფილისში ჩასვლისას ამ საკითხის მოგვარებას და სტიპენდიის გადიდებას. მართლაც ასე თუ ისე ეგ საკითხი გადაიჭრა და სტიპენდიის რაოდენობა განისაზღვრა 35 მ. ოქროთი. გარეგნულათ ყველაფერი რიგზეა, 35 მ. ერთ კაცს მართლაც შეუძლია ცხოვრება და შიმშილსაც არ განიცდის, თუ ქარაფშუტა არ არის. მაგრამ გაღაუხედოთ სინამდვილეს, როგორ, რა სახით იღებს საქართველოს სტიპენდიანტები მიკუთვნებულ ფულს და მაშინ ნათელი იქნება თუ რამდენათ მიზანშეწონილათ არის ეგ საქმე მოგვარებული.

როგორც აქ სტუდენტებს ეუბნებიან, თანახმად საქართველოს მთავრობის დადგენილებისა, ქართველი სტიპენდიანტები იღებს სტიპენდიას მოსკოვის სახელმწიფო ბანკნოტების კურსის თვის პირველი რიცხვის კურსის თანახმად.

აქაც ყველაფერი რიგზე სჩანს, მაგრამ საკითხია, რომელ რიცხვში იღებს სტუდენტი ფულს. აი ეგ არის მტკივანი ადგილი, რომლის გამოსწორებას არ ეშველა. დადის ქართველი სტუდენტი მისიაში ფულის ასაღებად, მაგრამ ფული არსად სჩანს, 15—20—25 და ხანდისხან თვის დამლევშიაც მოუწევს ფულის მიღება.

ამ არა ნორმალურ მდგომარეობას სტუდენტთა ბიურომ ყურადღება მიაქცია და კომპარტიის მე-12 ყრილობაზე ჩამოსულ ამხ. ელიავას და ორახელაშვილს მოხსენებით წარუდგა, რათა სტუდენტთა მდგომარეობა რამენაირათ გამოესწორებიათ.

ამხ. ელიავა გაკვირვებული ამ ანორმალური მდგომარეობით, ხოლო მეორეს მხრივ ხედავდა რა მოსკოვის ცხოვრებას, სადაც ყოვლად შეუძლებელი იყო და არის ამ თანხით უშიმშილობა, პრინციპიალურათ დასთანხმდა ამ ანორმალური მდგომარეობის გამოსწორებას შემდეგი სახით: დაენიშნოს ყოველ სტიპენდიანტს 35 მან. ოქროთი ნაცვლათ თვეში ექვსი ჩერვონეცისა და მიეცეს ხელზე არა ბონებით, არამედ ჩერვონცით. ამ საკითხის განსახორციელებლათ, თუ არ ვსცთები, სათანადო დეპეშაც გაიგზავნა თფილისის სახგანკომის სახელზე ამხ. ელიავას ხელმოწერილი, სადაც ნათქვამი იყო, რომ მაისიდან სტიპენდიატებს ანგარიში გაუსწორდეს ჩერვონცების სახით (ექვსი თვეში). ამით რა საკვირველია სტუდენტთა მდგომარეობა გამოსწორებული იქნებოდა და შიმშილობაც თავიდან აცილებული; მაგრამ... არ ვიცი რათ ყოველივე ეს დარჩა სიტყვად და ქართველი სტუდენტობა რუსეთში დღესაც შიმშილის წინაშე სდგას.

იმედით, რომ განკარგულება ამხ. ელიავასი სისრულეში იქნებოდა მოყვანილი, აკადემიურ წარმომადგენელმა ამხ. ჯგუშიამ რუსეთის სახგანკომისარიატისაგან ისესხა ფული და სტუდენტობას ავანსათ დაურიგა ორჯერ თითო-თითო ჩერვონეცი. გადის დრო, სტიპენდიანტები ხვედრ ფულს ელის, მაგრამ რომ იტყვიან ცეცხლზე დულარე დაასხესო, ისე მოუვიდათ. 25 მაისს საქართ. სახგანკომისარიატის მიერ გადმოგზავნილ იქმნა 35 მ. ანგარიში ოქროთი—სულ 1.800 მ. რუსული ბონებათ. რაშია საქმე! ნუთუ ვინმე ფიქრობს ამ ფულით შეიძლება მოსკოვში ცხოვრება და აკადემიური მუშაობის წარმოება? შეუძლია ჩვენს სტიპენდიატს ცხოვრება და მუშაობა ჯანმრთელობა რომ არ დაკარგოს?

ქართველი სტუდენტების მოვალეობაა არა მხოლოდ ფიზიკური არსებობა მოსკოვში, არამედ გონებრივი გამდიდრება და ცოდნით დაბრუნება სამშობლოში, რათა იმ მშრომელ ხალხს, რომლის

ᲮᲔᲚᲝᲕᲜᲔᲑᲐ

სომხური საოპერო დასი.

მომავალ სეზონისათვის განზრახულია სომხურ საოპერო დასის შედგენა. მუშავდება რეპერტუარი ითარგმნება რუსული და ქართული ოპერები სომხურ ენაზე საოპერო რეპერტუარის შესავსებად.

„გულნარი“. მგოსანმა ისკანდერმა დაასრულა აღმოსავლეთის პოემა „გულნარი“ შინაარსი პოემის აღებულია ლეკების ცხოვრებიდან პოემის გმირი ლეკის ქალი გულნარია. თვით პოემა დაწერილია ლამაზი ლექსებით და რომანტიულ ფერებით.

ძუკუ ლოლუას იუბილე. ქ. ფოთში ივნისის 30-ს გადახდილი იქნება სახალხო ლოტბარი და საზოგადო მოღვაწე ძუკუ ლოლუას იუბილე აღსანიშნავად მის სამუსიკო ასპარეზზე 25 წლის დაუღალავი მუშაობისა.

საიუბილეო კომისია.

— **დამსახურებულ მუშა-მსახიობებისთვის პენსიების დანიშვნა.** სახ. განათ. კომისარიატმა პროლეტარულ სახ. თეატრების მუშა მსახიობებს **გიორგი ჯაბაურს და რომანოზ სალაყაიას** ხანგრძლივი დამსახურებისათვის დაუნიშნა მუდმივი პენსიები, პირველს 20 მან. ოქროთი და მეორეს 10 მან. ოქროთი.

წერილი რედაქციის მიმართ

ამხ. რედაქტორო! გთხოვთ თქვენი გაზეთის საშუალებით ადგილი დაუთმოთ ჩვენს შემდეგ განცხადებას:

დღემდე ჩვენ არ ვეკუთვნოდით არც ერთ პოლიტიკურ პარტიას. დღეს კი დავრწმუნდით რომ, საქართველოს მემარცხენე სოც.-ფედერალისტთა სარევოლიუციო პარტია არის ნამდვილი დამცველი ეროვნებისა და შრომისა, რისთვისაც სრული შეგნებით ვუერთდებით ამ პარტიას და მთელი ჩვენი ახალგაზრდული ენერგიით ვიმუშავებთ მშრომელი ხალხის საკეთილდღეოთ.

თამარა წერეთელი.
ეკატერინე ჭილაძე.

რედაქტორი—სარედაქციო კოლეგია.
გამომცემელი—მთავარი კომიტეტი.

ამიერ-კავკასიის რკინის გზებზე მიმოსვლის ნუსხა

ᲢᲤᲘᲚᲘᲡᲘᲓᲐᲜ ᲒᲐᲓᲘᲡ

მატ. № 1 სწრაფი მოსკოვში შაბათობით მატ. № 1 სწრაფი პეტროგრ. პარასკეობ. მატ. № 1 „ „ სამშაბათ.	1600
მატ. № 2 „ ბათუმში სამშაბათ.	16.40
მატ. № 3 როსტოვში ყოველდღე	23.35
მატ. № 3 კახეთში „	7.15
მატ. № 4 ბათუმში „	8.05
მატ. № 8 ბათუმში „	20.40
მატ. № 20 ბორჯომში „	15.20
მატ. № 21 ბაქოში „	11.25
მატ. № 22 ბათუმში „	0.20
მატ. № 3 ერივანში კენტი რიცხვში	18.00
მატ. № 35 კახეთში „ „	10.35
მატ. № 31 ჯულფაში წყილ რიცხვში	23.00

ᲢᲤᲘᲚᲘᲡᲨᲘ ᲛᲝᲓᲘᲡ

მატ. № 1 ბათუმიდან შაბათობით მატ. № 2 მოსკოვიდან სამშაბათ.	14.40
მატ. № 2 პეტროგრადიდან ოთხშაბათ. მატ. № 2 პეტროგრადიდან პარასკეობ.	15.30
მატ. № 3 ბათუმიდან ყოველდღე	22.15
მატ. № 4 როსტოვიდან „	6.35
მატ. № 4 კახეთიდან „	21.50
მატ. № 7 ბათუმიდან „	8.50
მატ. № 19 ბორჯომიდან „	8.00
მატ. № 21 ბათუმიდან „	4.20
მატ. № 22 ბაქოდან „	14.50
მატ. № 4 ერევნიდან წყვილ რიცხვში	10.20
მატ. № 3 კახეთიდან „ „	18.45
მატ. № 34 ჯულფიდან კენტ რიცხვში	18.15

ᲡᲐᲐᲒᲐᲠᲐᲙᲝ

მატ. № 18 ბორჯომში კვირაობით	7.10
მატ. № 16 ხაშურში შაბათობით და უქმის წინადღით	1.55
მატ. № 17 ბორჯომიდან კვირაობით	11.20
მატ. № 15 ხაშურიდან კვირაობით და უქმის წინადღით. . .	5.10

ტირაჟი 1900 ნება დართულია ლიტერატურისა და გამომცემლობის მთავარმართველობის მიერ. № 387 სტამბა ეაზეთ „ზარია ვოსტოკა“-ისა, „ტრიბუნაშტადის“ ქუჩა № 4